



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-101/2018

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა.(ა).ი.პ.
„ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები“ დამკვირვებლის რეგისტრაციის თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წელი 31 აგვისტო

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-7 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 78-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ვადგენ:

მუხლი 1. საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს ადგილობრივ დამკვირვებლად და მიენიჭოს დამკვირვებლის სტატუსი ყველა დონის შესაბამის საარჩევნო კომისიაში ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის ა.(ა).ი.პ. „ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები“ წარმომადგენელს - ინგა ახალაძეს.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი